საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,
ბატონ დავით ბაქრაძეს

საქართველოს პარლამენტის
იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს,
ბატონ პავლე კუბლაშვილს

საქართველოს პარლამენტის
თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს,
ბატონ გიორგი თარგამაძეს

ასლი: სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარეს,
ბატონ ირაკლი გვენეტაძეს

ბატონებო,

საქართველოს პარლამენტი განიხილავს „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტს. აღნიშნული დოკუმენტი მეტად საყურადღებოა, ვინაიდან მისი მთელი რიგი დებულებები გავლენას ახდენენ ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელ კანონმდებლობაზე და გარკვეული კორექტივები შეაქვთ მასში. წარმოგიდგენთ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის'', ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსა'' და ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მოსაზრებებს მითითებული კანონპროექტით რეგულირებულ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ გამართლებულად და დროულად მიგვაჩნია საკანონმდებლო ინიციატივის განხილვა. ვფიქრობთ, რომ ის რისკები რომლებიც არსებობს ინფორმაციული ტექნოლოგიების მზარდი ტემპით განვითარებისა და გამოყენების კუთხით შესაბამისად უნდა იყოს ასახული საქართველოს კანონმდებლობაშიც. მიუხედავად საკანონმდებლო ინიციატივისადმი ჩვენი დადებითი დამოკიდებულებისა, არსებული კანონპროექტი ბევრ კითხვას ბადებს და ჩვენი აზრით დახვეწას საჭიროებს.

პირველ რიგში, ხაზს გავუსვამთ იმ გარემოებას, რომ შემოთავაზებული კანონპროექტი ადგენს დახურული საჯარო ინფორმაციის ახალ სახეებს, როგორებიცაა: კონფიდენციალური, შეზღუდული და არაკლასიფიცირებული ინფორმაცია. **კონფიდენციალურია** ინფორმაცია,

რომლის კონფიდენციალურობის ხელყოფას სავარაუდოდ მოჰყვება მნიშვნელოვანი ზიანი კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტის ფუნქციებისათვის.[1] **შეზღუდულია** ინფორმაცია, რომლის კონფიდენციალურობის ხელყოფა სავარაუდოდ გამოიწვევს კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტის მიერ მისი ფუნქციების განხორციელების მნიშვნელოვან შეფერხებას, ან ზიანს მიაყენებს სახელმწიფო ინტერესს ან კერძო პირის საქმიან რეპუტაციას.[2] **არაკლასიფიცირებულია** ინფორმაცია, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტის თანამშრომლების ან/და მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირისათვის, და რომლის კონფიდენციალურობის ხელყოფას შესაძლებელია მოჰყვეს უმნიშვნელო ზიანი ინფრასტრუქტურის სუბიექტის ან/და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს უსაფრთხოების, სახელმწიფო ინტერესებისა ან კერძო სუბიექტის საქმიანი რეპუტაციისათვის.[3] **დახურული საჯარო ინფორმაციის მითითებული ახალი სახეები სცილდება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ საიდუმლოებათა ჩამონათვალს (სახელმწიფო, კომერციული და პირადი საიდუმლოება) და მათ არალეგიტიმურ გაგრძელებას წარმოადგენს.**

აქვე აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვისთვის სამივე შემთხვევაში გამოიყენება არა დადასტურებული, ან მაღალი ალბათობის მქონე, არამედ სავარაუდო ზიანის ტესტი. გასაიდუმლოების ის სტანდარტი, რომელსაც კანონპროექტი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვისთვის გვთავაზობს უაღრესად დაბალი და ბუნდოვანია.

ამასთან გაურკვეველია, რა მიზნით შემოაქვს კანონმდებელს დახურული ინფორმაციის ახალი სახეები მაშინ, როდესაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საიდუმლოების უკვე დადგენილი კატეგორიები (სახელმწიფო, კომერციული, პირადი). ამავე დროს, საქართველოს კანონმდებლობა აწესებს არა მარტო ინფორმაციის გასაიდუმლოების სტანდარტებს, არამედ ადგენს მათი გაცნობის, მათი შემდგომი გასაჯაროების, მათზე ხელმისაწვდომობის პროცედურებსაც.

კანონპროექტის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი განმარტავს თუ რა არის ინფორმაციული აქტივი - ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც გააჩნია ღირებულება კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტისთვის, როგორიცაა ინფორმაციის შენახვის, დამუშავების, გადაცემის ტექნოლოგიური საშუალებები, თანამშრომლები და მათი ცოდნა ინფორმაციის დამუშავების შესახებ.

კანონპროექტის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი კი ამბობს, რომ ინფორმაციული აქტივის შემქნის დროს კრიტიკულობის შესაბამის კლასს ადგენს აქტივის ავტორი ან/და აქტივზე პასუხისმგებელი პირი, ანუ კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტი. აღნიშნული დებულებით კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტები თვითონ მიანიჭებენ საჯარო ინფორმაციას ოთხი კლასიფიკაციიდან ერთ-ერთს, ანუ წყვეტენ თუ რომელი საჯარო ინფორმაცია რომელ კატეგორიას განეკუთვნოს – კონფიდენციალური, შეზღუდული, არაკლასიფიცირებული ან ღია.

---

[1] კანონპროექტის მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი;
[2] კანონპროექტის მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი;
[3] კანონპროექტის მე-2 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი;

მიგვაჩნია, რომ კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტებისათვის ასეთი სახის უფლებამოსილების გადაცემამ შესაძლებელია გამოიწვიოს ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა, მიუხედავად მათი საჯაროობისა.

ამავე დროს, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა განსაზღვრულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. ხოლო, კანონპროექტის მეორე თავის, მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტით დგინდება კლასიფიცირებული ინფორმაციის (მათ შორის **ღია ინფორმაციის**) წვდომის, გაცემის (გამოქვეყნების), შეცვლის ან განადგურების ახალი წესები, კერძოდ: *„ინფორმაციული აქტივების აღწერის, კლასიფიცირების, მასზე წვდომის, მისი გაცემის (გამოქვეყნების), მისი შეცვლის ან განადგურების წესს ნორმატიული აქტით ადგენს სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო.*“[4]რამაც კანონმდებლობის დონეზე შესაძლოა კიდევ უფრო მეტად გააღრმავოს კონფლიქტი ინფორმაციის თავისუფლების ნორმებსა და ინფორმაციული უსაფრთხოების მარეგულირებელ კანონმდებლობას შორის.

მართალია, კანონპროექტის მიხედვით, მისი „დებულებები გავლენას არ ახდენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ იმ ნორმათა მოქმედებაზე, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის თავისუფლებას, პერსონალური მონაცემის დამუშავებას, სახელმწიფო, კომერციული ან პირადი საიდუმლოს დაცვას“, თუმცა, ეს ჩანაწერი ვერ ანეიტრალებს იმ საფრთხეს, რომელიც დახურული საჯარო ინფორმაციის ახალი კლასიფიკაცია გვთავაზობს, მეტიც იგი კანონის საერთო სულისკვეთებიდან გამომდინარე რეალობას არ შეესაბამება, რადგან ზოგადად, კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდან გამომდინარე იკვეთება, რომ ახალი კანონის მიღების ძირითადი მიზანია კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტთა **საინფორმაციო სისტემების**[5] (ინფო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) უსაფრთხოების დაცვა, პირველ რიგში კიბერ-სივრცეში.[6]

აქედან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ კანონპროექტის დებულებები მიმართული უნდა იყოს ინფორმაციული სისტემებისა და ამ სისტემების უსაფრთხოდ ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, შესაბამისად აუცილებალად მიგვაჩნია რიგი ტერმინების დაზუსტება, მაგ.:

---

[4] კანონპროექტის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

[5] *„სააგენტოს ევალება „უზრუნველყოს ინფორმაციული უსაფრთხოება, მათ შორის, განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა როგორც საჯარო, ისე სამოქალაქო სექტორში“, რა მიზნითაც მას შეუძლია „შეიმუშაოს **ინფორმაციული ტექნოლოგიების (სისტემების) სფეროს** მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტები“ (იმავე მუხლის „მ“ ქვეპუნქტი). **შემოთავაზებული კანონპროექტი სწორედ ამ უფლებამოსილებათა განხორციელებას ემსახურება.***“

[6] იგივე დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს კრიტიკული ინფრასტრუქტურის განსაზღვრებაც: *„კრიტიკული ინფრასტრუქტურა – ამ კანონით და კანონის საფუძველზე გამოცემული სხვა ნორმატიული აქტით განსაზღვრული იურიდიული პირების, სახელმწიფო ორგანოებისა და საქმიანობის სფეროების ერთობლიობა, **რომლის ინფორმაციული სისტემების უწყვეტი ფუნქციონირება** მნიშვნელოვანია ქვეყნის თავდაცვის ან/და ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის, სახელმწიფო ხელისუფლების ან/და საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის“*

„ინფორმაციული აქტივი - კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტში დაცული ყველა ის ინფორმაცია და ცოდნა, რომელიც უკავშირდება კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტის **ინფორმაციული სისტემების ფუნქციონირებას**, როგორიცაა ინფორმაციის შენახვის, დამუშავების, გადაცემის ტექნოლოგიური საშუალებები, თანამშრომლები და მათი ცოდნა ინფორმაციის დამუშავების შესახებ;

მიგვაჩნია, რომ კანონპროექტით შემოთავაზებული დახურული ინფორმაციის ახალი კატეგორიები საფუძველშივე ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ სტანდარტებს და იძლევა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის არაკონსტიტუციურად შეზღუდვის შესაძლებლობას. აღნიშნული კანონპროექტი, პარლამენტის მიერ მისი წარმოდგენილი სახით მიღების შემთხვევაში, შესაძლოა აღმოჩდეს ახალი ინსტრუმენტი საჯარო დაწესებულებებისა თუ სასამართლოების ხელში საჯარო ინფორმაციის არაპროპორციულად დახურვისათვის. ჩვენ ასევე ვთვლით, რომ არ არსებობს **საჯარო ინფორმაციის** კანონპროექტში არსებული ინტერპრეტაციის დამკვიდრების აუცილებლობა და იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი ხდება კონკრეტულ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდავა, შესაბამისმა საჯარო დაწესებულებებმა უნდა იხელმძღვანელონ საქართველოს კანონით „სახელმწიფო საიდუმლოების“ და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად. მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე კანონპროექტი საჭიროებს არსებით გადამუშავებას, რათა მისი მთელი რიგი დებულებები არ მოვიდეს წინააღმდეგობაში საქართველოს კონსტიტუციასთან.

დოკუმენტი მომზადებულია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ და წარმოადგენს ამ ორგანიზაციების საერთო მოსაზრებას/შენიშვნებს კანონპროექტთან მიმართებაში.

პატივისცემით,

ეკა გიგაური

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“
აღმასრულებელი დირექტორი

თამარ ჩუგოშვილი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე

ლევან ავალიშვილი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის თავმჯდომარე